გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 49

2025 წლის 11 აპრილი
ქ. გორი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტისა და ”გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების 54-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო,

ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 11 აპრილის სხდომის დღის წესრიგის პროექტი დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

1. „გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ასმათ ტლახაძე/

2. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.42.12.000.269) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

3. „გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. გორში, სამეფო ქ. №46-ში მდებარე ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

4. ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 იანვრის N4 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

5.,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 13 იანვრის N5 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

6. „გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კარალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე №66.46.26.003.005 საკადასტრო კოდით არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოსადგურის განთავსების მიზანშეწონილობის შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/

7. „გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოშურში არსებული მე-6 ქუჩის I-ჩიხის სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

8. „გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

9. „გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.მანუჩარ ლაფაჩი/

10. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული განყოფილების 2024 წლის აპრილიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.ლეილა მამულაშვილი/

11. „ა(ა) იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2024 წლის ოქტომბრიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ“ განკარგულების პროექტი;

/მომხს.გიორგი გოგშელიძე/

12. „შპს „საქართველოს მელიორაციის“ შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სამსახურის ტირიფონი-ტაშისკარი-სალთვისის სერვის ცენტრის საქმიანობის შესახებ“ ინფორმაცია;

/მომხს.მერაბ მელანაშვილი/